

თპუ

სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №2

თბილისი

4 თებერვალი 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი; 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; 3. პროფ. არჩილ ლორია; 4. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე; 5. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; 6. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, 7. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილი; 8. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; 9. უფრ. მასწ. მაია ივანიძე; 10. სტუდენტი ალექსანდრე გოჯიაშვილი; 11. სტუდენტი ლევან ბაღდადელაშვილი; 12. ლორენა შამათავა

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ ნათია რატიანისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს:

თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2013–2014 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის დასასრულს ნათია რატიანმა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკმარისი კრედიტები მოაგროვა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის უფლება მოიპოვა; მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ 2014 წლის 4 თებერვალს დანიშნული იყო საბაკალავრო ნაშრომების დაცვა/პრეზენტაცია, სადაც სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიამ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი შესრულებული იყო მოთხოვნის დონეზე. ნ. რატიანმა საბაკალავრო ნაშრომი დაიცვა დადებითი შეფასებით და ჯამში მოაგროვა მინიმუმ 240 სავალდებულო სასწავლო კრედიტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. რატიანს უნდა მიენიჭოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რისთვისაც საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ლ. ნადიბაიძემ და უფრ. მასწ. შ. ქურდაძემ.

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თჰუ სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ნათია რატიანს.
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი:

გ. იხუ 23



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე